თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 5

ქ. თერჯოლა 05.09.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ნინო მახათაძე მ/შ

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ლაშა გურგენიძე 2.იზა მაგრაქველიძე 3.ელისო მურადაშვილი 4.დავით გოგბერაშვილი 5.ბადრი ბუცხრიკიძე 6.დავით ცხადაძე 7.კახა ბუცხრიკიძე 8.ტარიელ ფანჩულიძე;

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1 . კობა კირკიტაძე,

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის Nგ-29.29220147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ნ.მახათაძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N-292201416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ნ.მახათაძე

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N-29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ნ.მახათაძე

მომხს.: ნ.მახათაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ნინო მახათაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №-29.29220147 განკარგულებაში შესატანი ცვილელების შესახებ.ბიუჯეტი არის 390 000 (სამასოთხმოცდაათი ათასი) ლარი, აქედან ა)საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ხანძრის ან სტიქიის შემთხვევაში ბიუჯეტი განისაზღვრულია 30 000(ოცდაათი ათასი) ლარით . ხოლო ბ)მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვრულია 360 000(სამასსამოციათასი) ლარით. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში შენდება 9 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი . მოსალოდნელია ხელშეკრულების 10% ზრდა. სამუშაო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის საჭიროა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ბიუჯეტი გაიზარდოს 30 000 ლარით და გახდეს 390 000 (სამასოთხმოცდაათი ათასი) ლარი. შესაბამისად მთლიანი პროგრამის ბიუჯეტი გახდება 420 000(ოთხასოციათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: იზა მაგრაქველიძე, კახა ბუცხიკიძე;

გადაწყვიტეს: გავიდეს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №-29.29220147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა ნინო მახათაძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახხურეობის თანადაფინანსების 2022 წლისწლის 14 იანვრის №-29.29220147 განკარგულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ. ბიუჯეტი შეადგენს 200 000 (ორასიათასი) ლარს. აღნიშნულ პროგრამაში თანხის მომატება საჭირო გახადა მოსარგებლე ბენეფიციართა მატებამ, გარდა ამისა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა დახმარების ოდენობა---- 3000 ლარს ზემოთ პაციენტის გადახდის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება 800 ლარით, ხოლო 5000 ლარის ზემოთ გადახდის შემთხვაში 1000 ლარით. ასევე 2022 წლიდან მოქალაქეს რომელთა წლიური შემოსავალი 10 000(ათიათასი) ლარს არ აღემატება შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ მეორედ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

იმისათვის რომ არ შეფერხდეს მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურეობა მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გაიზარდოს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი და გახდეს 267 000 (ორასსამოცდაშვიდი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: ელისო მურადაშვილი,დათო გოგბერაშვილი ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მომზადებულად ჩაითვალოს და განსახილველად გავიდეს ბიუროზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N-292201416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ნინო მახათაძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N-29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2022 წლის ბიუჯეტია 180 000(ასოთხმოციათასი) ლარი ,რომელიც ამ დროისთვის თითქმის მთლიანად გახარჯულია. ამ ეტაპისთვის ხდება 3 000 (სამი ათასი) ლარით ბიუჯეტის ზრდა .

აზრი გამოთქვეს: ლაშა გურგენიძე,ბადრი ბუცხრიკიძე;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: გავიდეს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N-29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე

ნინო მახათაძე მ/შ ნ. მახათაძე